



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

კომპიუტერული სისტემები და ქსელური ტექნოლოგიები
სამაგისტრო პროგრამა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

დასკვნის წარდგენის თარიღი: 8.06.2022

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211349192
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	კომპიუტერული სისტემები და ქსელური ტექნოლოგიები Computer Systems And Network Technologies
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა (II საფეხური)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	ინფორმაციული ტექნოლოგიების მაგისტრი Master of Information Technologies
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0612 - მონაცემთა ბაზებისა და ქსელების დიზაინი და ადმინისტრირება / Database and Network Design and Administration (0612.1.1 - ინფორმაციული ტექნოლოგიები / Information Technologies)
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მანანა ხაჩიძე - ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გულადი ფარტენაძე - შოთა რუსთაველის სახ. ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მარიამ ზანგალაძე - IDEADISIGNGROUP, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ გვინეიშვილი - ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	შალვა მესხი - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

აკრედიტაციის მოპოვების მიზნით წარმოდგენილია სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული სისტემები და ქსელური ტექნოლოგიები“ (შემდგომში - პროგრამა), რომელიც შემუშავებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესის და ინფორმაციისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დებულების მოთხოვნათა შესაბამისად. პროგრამა განხილული იქნა ინფორმაციისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე 2021 წლის 6 ნოემბრის №12 ოქმის შესაბამისად და დამტკიცებულ იქნა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 3 დეკემბერი № 01-05-02/35 დადგენილებით.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შეირჩა ჯგუფი, რომელთა უნივერსიტეტში ვიზიტი განხორციელდა 2022 წლის 20 აპრილს, (განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება 30.03.2022, №327898 აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ვიზიტის შესახებ). ჯგუფის მოსამზადებელი შეხვედრა განხორციელდა 2022 წლის 18 აპრილს - მოხდა პროგრამის შეფასებასთან დაკავშირებულ საკითხებზე შეჯერება. 2022 წლის 20 აპრილს ვიზიტი წარიმართა წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით, ექსპერტთა ჯგუფის უნივერსიტეტში ვიზიტით. გაიმართა შეხვედრები: უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან. ასევე, განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება: ბიბლიო-

თეკა, კომპიუტერული ლაბორატორიები, აუდიტორიები. ვიზიტის დასასრულს უნივერსიტეტის წარმომადგენლებს წარედგინათ ვიზიტის ფარგლებში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები. სამუშაო შეხვედრები მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

▪ **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

- **სტანდარტი I - შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“** (კომპონენტი 1.2 შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან), რადგან:
 - მიუხედავად იმისა, რომ სწავლის შედეგების შეფასებისათვის შემუშავებულია დოკუმენტი „სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული სისტემები და ქსელური ტექნოლოგიები“ სწავლის შედეგების შეფასების სისტემა“, რომელშიც აღწერილია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ეტაპები და ამ ეტაპებზე განსახორციელებელი ქმედებები, სამიზნე ნიშნულები და მისი გამოთვლა/გამოყენების პროცედურები, ის დასახვეწია.
- **სტანდარტი II - შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“**, რადგან კომპონენტები 2.2 და 2.3 შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, რასთან დაკავშირებითაც არის გარკვეული შენიშვნები. კერძოდ:
 - რიგი სილაბუსები („საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე (ინგლისური)“, „დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური ენა)“, „ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები“) შიგთავსით არ შეესაბამება დარგობრივ მოთხოვნებს და სასურველია მათი ჩანაცვლება.
 - რიგ საგნებში შიგთავსი გასაძლიერებელია დარგთან დაკავშირებული საკითხებით.
- **სტანდარტი III - შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“** (კომპონენტები 3.1 და 3.2 შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან), ვინაიდან პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, ხელს უწყობს სტუდენტების ინფორმირებას სათანადო საკითხებში, ახორციელებს სხვადასხვა ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში.
- **სტანდარტი IV - შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“** (კომპონენტები 4.1, 4.2, 4.3 და 4.4 შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან), ვინაიდან პროგრამის განხორციელებისთვის გათვალისწინებული ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად და სტაბილურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.
- **სტანდარტი V - შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“** (კომპონენტი 5.1 შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, კომპონენტები 5.2 და 5.3 შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან), თუმცა დასახვეწია შიდა ხარისხის შეფასების რამდენიმე მექანიზმი და პროცედურა.

ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა დაწესებულების არგუმენტირებული პასუხი დასკვნის პროექტში პროგრამის სათაურთან დაკავშირებით. შესაბამისად ამ საკითხთან მიმართებით გამოთქმული რეკომენდაცია გადანაცვლდა რჩევაში.

▪ რეკომენდაციები

1. სწავლის შედეგების შეფასების სისტემა ჩამოყალიბდეს მეტი სიცხადით:
 - შემცირდეს და მეტად დაზუსტდეს ყოველი სწავლის შედეგის შეფასების მეთოდი;
 - მკვეთრად განისაზღვროს სამიზნე ნიშნული ყოველი სწავლის შედეგისათვის, რომელიც გამოიყენება კონკრეტული ნაკადისათვის.
2. სასწავლო კურსებში „საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე (ინგლისური)“, „დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური ენა)“ რეალურად (და არა მხოლოდ სათაურში) აღიწეროს დარგთან დაკავშირებული საკითხები.
3. სასწავლო კურსები „საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე (ინგლისური)“, „დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური ენა)“, „კვლევის მეთოდები ინფორმაციულ ტექნოლოგიებში“ შეივსოს უშუალოდ დარგთან დაკავშირებული საკითხებით.
4. შემდეგი სასწავლო კურსები გადანაცვლდეს არჩევით ბლოკში:
 - „საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე (ინგლისური)“;
 - „დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური ენა)“;
 - „კვლევის მეთოდები ინფორმაციულ ტექნოლოგიებში“ ;
 - „ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები“.
5. სასწავლო კურსი „ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები“ გადატანილ იქნეს არჩევითი სასწავლო კურსების ბლოკში და ამოღებულ იქნეს ყველა სხვა საგნის წინაპირობიდან.
6. სასწავლო კურსის „პროგრამული ინჟინერია კომპიუტერული სისტემებისა და ქსელებისთვის“ სათაური შეიცვალოს დასახელებით „პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერია“.
7. რეკომენდებულია შემუშავდეს პროგრამის შეფასების სქემა, რომელშიც მკაფიოდ იქნება განსაზღვრული პროგრამის შეფასების ეტაპები, პერიოდულობა და გამოყენებული შეფასების მეთოდები.
8. რეკომენდებულია დაიხვეწოს დოკუმენტში „სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული სისტემები და ქსელური ტექნოლოგიები“ სწავლის შედეგების შეფასების სისტემა“ მითითებული პროგრამის შედეგების მიღწევის დადასტურებისა და შეფასების მექანიზმი, კერძოდ: დაკორექტირდეს თვისობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლები, მათ შორის დაზუსტდეს პროგრამის შედეგების მიღწევის კომპონენტები, დადასტურების/შეფასების მეთოდები და რიცხობრივი მაჩვენებლები (სამიზნე ნიშნულები).

▪ რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1. მოხდეს პროგრამის სათაურის ცვლილება, შიგთავსის მეტი შესაბამისობით (მაგ. „ინფორმაციული ტექნოლოგიები“ , „კომპიუტერული სისტემები“).
2. პროგრამის სათაურში ტერმინის „კომპიუტერული ქსელები“ არსებობის შემთხვევაში (თუ განხორციელდა ცვლილება), დაემატოს ამ მიმართულების დისციპლინები.
3. სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებში ქულობრივ შეფასებაში გადაიხედოს ქულობრივი შეფასების მეთოდების ბიჯი (0.5, 0.1).

4. მიზანშეწონილია „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციაში“ არსებული ჩანაწერი სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის შეფასების შესახებ დროულად მოვიდეს შესაბამისობაში „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებასთან.
 5. უნივერსიტეტის ვებ-გვერდის განახლების პერიოდშივე, სტუდენტების ინფორმირებულობის მიზნით, ვებ-გვერდზე მიზანშეწონილია განთავსდეს ინფორმაცია კარიერასთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურების ხელმისაწვდომობის თაობაზე.
 6. სასურველია ვებ-ზე ჩაშენებული მესინჯერი იყოს facebook ავტორიზაციის გარეშე.
 7. მიზანშეწონილია მეტი ყურადღება მიექცეს დოკუმენტების ტექნიკურ მხარეს ტექსტებში ხარვეზების თავიდან აცილებისა და ინფორმაციის სრულად და ზუსტად ასახვის მიზნით.
- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

 - ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული სისტემები და ქსელური ტექნოლოგიები“ მიზნების აღწერაში მკაფიოადაა ჩამოყალიბებული ის ცოდნა, უნარება და კომპეტენციები, რომლის მიღწევაც დაგეგმილია პროგრამის წარმატებით დასრულების შემთხვევაში. ისინი შესაბამისობაშია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისიასთან და ასახავს იმ მოთხოვნებს, რაც თანამედროვე დასაქმების ბაზარზეა, როგორც ადგილობრივ ასევე საერთაშორისო დონეზე. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია:

- მოამზადოს შრომის ბაზარზე პრაქტიკული და კვლევითი საქმიანობისთვის კონკურენტუნარიანი და მაღალკვალიფიციური სპეციალისტი ინფორმაციული ტექნოლოგიების მოთხოვნად მიმართულებაში - კომპიუტერულ სისტემებსა და ქსელურ ტექნოლოგიებში;
- შესძინოს კურსდამთავრებულს ინფორმაციული ტექნოლოგიების თეორიული, პრაქტიკული და კვლევითი საკითხების სიღრმისეული ცოდნა;
- გამოუმუშაოს კურსდამთავრებულს: მულტიდისციპლინარულ გარემოში ობიექტის ანალიზისა და კვლევის, ობიექტისთვის კომპიუტერული სისტემის და ქსელის დაპროექტების, განხორციელების, კვლევის, ადმინისტრირების უნარები;
- გამოუმუშაოს კურსდამთავრებულს ინოვაციური აზროვნების უნარები, რაც ხელს შეუწყობს მის კარიერულ წინსვლას.

თუმცა შესაძლოა პროგრამის სათაურმა „კომპიუტერული სისტემები და ქსელური ტექნოლოგიები“ და მიზნებში მასში გამოყენებულ ცნებებზე გაკეთებულმა აქცენტებმა, გამოიწვიოს გარკვეული დაბნეულობა სფეროში ნაკლებად ჩახედულ პირთა შორის. კერძოდ, ტრადიციულად ასეთი სათაურის ქვეშ მოიაზრება ლოკალური და გლობალური კომპიუტერული ქსელების მართვა და დაგეგმვა და ამ პროცესისთვის აუცილებელი სისტემური უზრუნველყოფის კომპიუტერული პროგრამები. სამაგისტრო პროგრამა მოიცავს ანალოგიურ საკითხებს, მაგრამ არა როგორც ძირითად „ღერძს“. პროგრამაში აქცენტი გაკეთებულია გამოყენებით პროგრამულ სისტემებზე, რომლებიც უზრუნველყოფენ მონაცემთა სხვადასხვა წყაროებიდან (სხვადასხვა ქსელური წვდომით მოპოვებადი), სხვადასხვა „ჭკვიანი“ სისტემებიდან ინფორმაციის ამოღება-დამუშავება-მართვასთან დაკავშირებულ ფართო დისციპლინებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ლოგიკური იქნებოდა პროგრამის სათაური წარმოდგენილიყო სხვა ცნებებით, თუნდაც უშუალოდ მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელებით „ინფორმაციული ტექნოლოგიები“ ან დასახელების მხოლოდ პირველი ნაწილით „კომპიუტერული სისტემები“.

<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; ○ უნივერსიტეტის მისია.
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> ○
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> - მოხდეს პროგრამის სათაურის ცვლილება, შიგთავსის მეტი შესაბამისობით (მაგ., „ინფორმაციული ტექნოლოგიები“, „კომპიუტერული სისტემები“).
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <p>-</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <p>-</p>
<p>შეფასება</p> <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი პროგრამის აღწერის შესაბამისად, სწავლების შედეგები მოცემულია 8 პუნქტით, რომლის თანახმადაც კურსდამთავრებული:

- ახდენს ანალიტიკური და კრიტიკული გააზრებით, ღრმა და სისტემური ცოდნის საფუძველზე კომპიუტერულ სისტემებთან და ქსელებთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებას, ფორმულირებასა და გადაჭრას;
- აყალიბებს კომპიუტერული სისტემებისა და კომპიუტერული ქსელების წინასაპროექტო კვლევის საფუძველზე შესაბამის მოთხოვნებს;
- აანალიზებს მიღებულ ინფორმაციას, მათ საფუძველზე იკვლევს, აპროექტებს და ახორციელებს კომპიუტერულ სისტემას და ქსელს;
- არჩევს და იყენებს სხვადასხვა დარგში კომპიუტერული სისტემების და ქსელების განხორციელებისთვის ინფორმაციულ ტექნოლოგიების კვლევის, დაპროექტებისა და შექმნის ინოვაციურ მეთოდებს,
- წყვეტს პრაქტიკული ხასიათის ამოცანებს კომპიუტერულ ქსელებში, SCADA სისტემებსა და ბიომეტრიულ სისტემებში ისეთი ინსტრუმენტების გამოყენებით, როგორცაა საგანთა ინტერნეტი, დიდ მონაცემთა სისტემები/ბლოკჩეინ ტექნოლოგიები/ღრუბლოვანი სერვისები, ნეირონული ქსელები/საექსპერტო სისტემები;
- ქმნის უსაფრთხო სისტემებს, შესაბამისი აპარატურული და პროგრამული ინსტრუმენტებით ანალიზის და სინთეზის მეთოდების გამოყენებით.

- ავლენს ჯგუფური მუშაობის პროცესში, ანალიტიკური, კრიტიკული აზროვნების, დასკვნების გამოტანისა და კომუნიკაციის უნარებს.
- წარადგენს საკუთარ შეხედულებებს, კვლევის და საქმიანობის შედეგებს, არგუმენტირებულ დასკვნებს და დოკუმენტაციას აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და ინგლისურ ენაზე აკადემიური ეთიკისა და კეთილსინდისიერების სტანდარტების სრული დაცვით.

სწავლის შედეგებში ძირითადად ასახულია „ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების“ უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი, რომელიც დამტკიცდა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 30 დეკემბრის N 1437919 ბრძანებით.

სწავლის შედეგების შეფასებისასთვის შემუშავებულია დოკუმენტი „სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული სისტემები და ქსელური ტექნოლოგიები“ სწავლის შედეგების შეფასების სისტემა“, რომელშიც აღწერილია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ეტაპები და ამ ეტაპებზე განსახორციელებელი ქმედებები, სამიზნე ნიშნულები და მისი გამოთვლა/გამოყენების პროცედურები. მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტი მოიცავს სწავლის შედეგების შეფასებისთვის აუცილებელ ყველა პუნქტს, ის დასახვეწია. კერძოდ:

- ერთიდაიგივე მეთოდით ფასდება სწავლის რამდენიმე შედეგი (მაგ: „საკვლევი პრობლემის აღწერა, აქტუალურობა“ - აფასებს 5 შედეგს 1,3,4,5,6);
- სწავლის ყოველი შედეგი ფასდება არანაკლებ 3 მეთოდით;
- სამიზნე ნიშნულების განსაზღვრება „მიღწევადობის“ გაგებით ბუნდოვანია - „ყველა დაცული სამაგისტრო ნაშრომისათვის აღნიშნული დიაპაზონიდან 20%-იანი გადახრის შემთხვევაში, სწავლის შედეგები არ ჩაითვლება მიღწეულად“ - კონკრეტულად რამდენი პროცენტია სამიზნე ნიშნული არა მხოლოდ ერთი სამაგისტრო ნაშრომის შეფასებისათვის, არამედ მთლიანად კონკრეტული ნაკადისათვის;
- 100 ქულიანი შეფასების სისტემაში ქულობრივ ბიჯებად გამოყენებულია 0.5, რაც არააუცილებელი დეტალიზაციაა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული სისტემები და ქსელური ტექნოლოგიები“ ;
- სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები);
- მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული სისტემები და ქსელური ტექნოლოგიები“ სწავლის შედეგების შეფასების სისტემა.

რეკომენდაციები:

- სწავლის შედეგების შეფასების სისტემა ჩამოყალიბდეს მეტი სიცხადით:
 - შემცირდეს და მეტად დაზუსტდეს ყოველი სწავლის შედეგის შეფასების მეთოდი;
 - მკვეთრად განისაზღვროს სამიზნე ნიშნული ყოველი სწავლის შედეგისათვის, რომელიც გამოიყენება კონკრეტული ნაკადისათვის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებში ქულობრივ შეფასებაში გადაიხედოს ქულობრივი შეფასების ბიჯი 0.5.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	<input checked="" type="checkbox"/>			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაში დეტალურადაა აღწერილი საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები. აღსანიშნავია, რომ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების ერთ-ერთი წინაპირობაა ინგლისური ენის B2 დონეზე ფლობა, რაც უნდა დასტურდებოდეს შესაბამისი დოკუმენტით, წინააღმდეგ შემთხვევაში აბიტურიენტი აზარებს ამავე გამოცდას მისაღებ სესიაზე. პროგრამაზე დაშვების პირობები მკაფიოდაა განსაზღვრული და სრულიად შეესაბამება დადგენილ ნორმებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული სისტემები და ქსელური ტექნოლოგიები“ .
- სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2011 წლის 17 ივნისის №482 დადგენილება „სტუდენტთა კონტინენტის ფორმირების და მობილობის ინსტრუქცია“;
https://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/stud_kont_form_mob_ins_02.02.16_SD.pdf

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
-
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
-
შეფასება <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
<p>პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>პროგრამის სტრუქტურა ჩამოყალიბებულია კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულებაში მოქმედი შიდა რეგულაციების მიხედვით, არის მკაფიო და თანმიმდევრული. პროგრამის დიდ ნაწილს წარმოადგენს სავალდებულო კურსები, ასევე პროგრამს გააჩნია არჩევითი სასწავლო კურსებიც. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ პროგრამას აქვს პრაქტიკის კომპონენტი, რაც სტუდენტის გამოცდილების მისაღებად მნიშვნელოვანი ფაქტორია, ასევე პროგრამას აქვს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი სამაგისტრო ნაშრომის სახით.</p> <p>რიგი სილაბუსები („საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე (ინგლისური)“ და „დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური ენა)“, „ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები“) შიგთავსით არ შეესაბამება დარგობრივ მოთხოვნებს და სასურველია მათი ჩანაცვლება.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული სისტემები და ქსელური ტექნოლოგიები“; ○ სილაბუსები: <ul style="list-style-type: none"> ● „საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე (ინგლისური)“; ● „დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური ენა)“ ; ● „ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები“.
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> ○ სასწავლო კურსებში „საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე (ინგლისური)“, „დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური ენა)“ რეალურად (და არა მხოლოდ სათაურში) აღიწეროს დარგთან დაკავშირებული საკითხები.
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>-</p>
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
-
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
-

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაში შემავალი დარგობრივი სასწავლო კურსები (ძირითადი და არჩევითი ერთად), მათში აღწერილი სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამაში გაცხადებული სწავლის შედეგების მიღწევას. თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები უმთავრესად შესაბამისობაშია სასწავლო კურსის შინაარსთან.

პროგრამა მოიცავს ინფორმაციული სისტემებისა და ქსელური ტექნოლოგიების მიმართულელებას, რაც აღწერილია პროგრამის მიზანში. ეს მიმართულება გასდევს პროგრამაში წარმოდგენილ სხვა დოკუმენტებსაც, შესაბამისად, პროგრამის სილაბუსებიც სრულად უნდა პასუხობდეს ამ მიმართულებას, თუმცა პროგრამაში გვხვდება საგნები „საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე (ინგლისური)“, „დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური ენა)“, „კვლევის მეთოდები ინფორმაციულ ტექნოლოგიებში“, რომლებიც წარმოადგენს დარგის დამხმარე დისციპლინებს, მაგრამ შინაარსში არ არის განხილული საკითხები უშუალოდ ამ დარგიდან. ამ სასწავლო კურსების შინაარსში უნდა აღიწეროს დარგთან დაკავშირებული საკითხები და გადანაცვლდეს არჩევითი სასწავლო კურსების ბლოკში.

პროგრამაში წარმოდგენილია სასწავლო კურსი „ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები“, რომელიც წარმოადგენს კრებსით სილაბუსს საბაკალავრო დონეზე შესასწავლი დარგობრივი დისციპლინების აუცილებელი ნაკრებით. მასში განხილული საკითხები ასახულია პროგრამაზე დაშვებისათვის განსაზღვრულ სპეციალობის გამოცდის საკითხებში. შესაბამისად, ამ სასწავლო კურსის აუცილებლობა პროგრამაში გაურკვეველია, მითუმეტეს ის ფაქტი, რომ იგი წარმოადგენს უმრავლეს სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობას. სასწავლო კურსი უნდა გადანაცვლდეს არჩევითი სასწავლო კურსების ბლოკში და ამოღებულ იქნას ყველა სხვა სასწავლო კურსის წინაპირობიდან.

სასწავლო კურსი „პროგრამული ინჟინერია კომპიუტერული სისტემების და ქსელებისთვის“ წარმოადგენს საყოველთაოდ აღიარებულ კურსს „პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერიაში“. სათაურში აქცენტირება კომპიუტერულ სისტემებსა და ქსელებზე, ტოვებს პროგრამის სათაურზე მორგების შთაბეჭდილებას. ლოგიკურია მისი სახელი სრულად სინქრონიზებული იყოს შინაარსთან („პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერია“).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული სისტემები და ქსელური ტექნოლოგიები“;
- სილაბუსები:
 - „საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე (ინგლისური)“;
 - „დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური ენა)“
 - „ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები“;

<ul style="list-style-type: none"> • „პროგრამული ინჟინერია კომპიუტერული სისტემების და ქსელებისთვის“.
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> ○ სასწავლო კურსები „საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე (ინგლისური)“, „დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური ენა)“, „კვლევის მეთოდები ინფორმაციულ ტექნოლოგიებში“ შეივსოს უშუალოდ დარგთან დაკავშირებული საკითხებით; ○ შემდეგი სასწავლო კურსები გადანაცვდეს არჩევით ბკოკში: <ul style="list-style-type: none"> • „საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე (ინგლისური)“; • „დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური ენა)“; • „კვლევის მეთოდები ინფორმაციულ ტექნოლოგიებში“ ; • „ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები“. ○ სასწავლო კურსი „ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები“ გადატანილ იქნეს არჩევითი სასწავლო კურსების ბლოკში და ამოღებულ იქნას ყველა სხვა სასწავლო კურსების წინაპირობიდან. ○ სასწავლო კურსის „პროგრამული ინჟინერია კომპიუტერული სისტემების და ქსელებისთვის“ სათაური შეიცვალოს დასახელებით „პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერიაზე“.
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>-</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <p>-</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <p>-</p>
<p>შეფასება</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება</p>
<p>პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>პროგრამა ისეა აგებული, რომ ყოველი კომპონენტი უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად სტუდენტთა პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარებას.</p> <p>აღნიშნული პრაქტიკული უნარების განვითარება გათვალისწინებულია ცალკეულ კურსებში კონკრეტული, ინდივიდუალური თუ ჯგუფური მუშაობის პრინციპზე დაფუძნებული, პრაქტიკული ხასიათის პროექტების და დავალებების შესრულებით. ასევე სტუდენტებს შეთავაზებული აქვთ ძირითად სასწავლო კურსად „საწარმოო პრაქტიკა“. პრაქტიკის გავლის პერიოდში ან/და სამეცნიერო-კვლევით პროექტში ჩართვის შემთხვევაში, სტუდენტს ხელმძღვანელობას უწევს დარგის კვალიფიციური პირი, რომელიც შეაფასებს სტუდენტის საქმიანობას.</p> <p>სტუდენტების სამეცნიერო/კვლევითი უნარების განვითარებისათვის ფაკულტეტს გააჩნია კარგად აღჭურვილი სპეციალური სიმულაციური ლაბორატორიები. საჭიროების მიხედვით სტუდენტს აქვს საშუალება ისარგებლოს სხვა პროგრამის ლაბორატორიებითაც სტუდენტისათვის ყველა პირობა არის შექმნილი სამეცნიერო/კვლევითი და პრაქტიკული უნარების განვითარებისათვის, რაც სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.</p>

<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული სისტემები და ქსელური ტექნოლოგიები“; ○ ინფორმაცია სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში სტუდენტთა მონაწილეობის თაობაზე ; ○ სტუდენტთა ღია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია; http://gtu.ge/News/12431/; ○ ინოვაციური ხედვის დაცული სამაგისტრო პროექტების ანოტაციები.
<p>რეკომენდაციები:</p> <p>-</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>-</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <p>-</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <p>-</p>
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p>

<p>2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები</p>
<p>პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული სისტემები და ქსელური ტექნოლოგიები“ სასწავლო კურსები მოიცავს თემატიკის შესაბამისი სწავლების მეთოდებს. სასწავლო კურსებში გამოყენებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. თითოეული სასწავლო კურსისთვის განსაზღვრული სწავლება-სწავლის მეთოდები არის მორგებული სასწავლო კურსის შინაარსზე. აკადემიური პერსონალის სტუდენტებთან საკონსულტაციო საქმიანობა დამატებით ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს.</p> <p>პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტების განხორციელება მოხდება, უნივერსიტეტში კარგად აპრობირებული სწავლა/სწავლების მეთოდებით. კარგად არის ორგანიზებული ელექტრონული და დისტანციური სწავლების მეთოდები. სასწავლო და სამეცნიერო ლაბორატორიებში სტუდენტს აქვს უფლება დამატებით განახორციელოს კვლევები.</p> <p>სწავლება-სწავლის მეთოდები სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები) ; ○ სწავლა-სწავლების მეთოდები და შესაბამისი აქტივობები; https://gtu.ge/quality/Files/Pdf/metodebi%20da%20aktivobebi%20(1).pdf ○ შეფასების ელექტრონული სისტემით გამოცდების ჩატარების წესი; http://testing.gtu.ge/ ○ ელექტრონული სწავლების პორტალი. https://vici.gtu.ge/ http://elearning.gtu.ge/ http://testing.gtu.ge/

რეკომენდაციები:
-
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
-
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
-
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
-
შეფასება
<input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
<p>სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.</p> <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა აგებულია „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანების შესაბამისად.</p> <p>„თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ პროგრამის სტუდენტების ცოდნის შეფასებისას გამოიყენება კანონით დადგენილი წესები და რელევანტური შეფასების კრიტერიუმები. შეფასების სისტემა გამოქვეყნებულია და წინასწარ ცნობილია სტუდენტისათვის.</p> <p>დოკუმენტიდან ირკვევა, რომ სტუდენტებს საშუალება აქვთ ცოდნის შეფასების მექანიზმების შესახებ ინფორმაცია მიიღონ საგანმანათლებლო პროგრამიდან, სასწავლო კურსის სილაბუსებიდან, კონკრეტული სასწავლო კურსის წამყვანი ლექტორის და პროგრამის ხელმძღვანელისგან.</p> <p>ვიზიტის დროს, მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების დროს დადასტურდა ის ფაქტი, რომ შეფასების სისტემა წინასწარ ცნობილია სტუდენტებისათვის. აღნიშნული ფაქტი ასევე დადასტურეს პროგრამის ხელმძღვანელმა, აკადემიურმა/მოწვეულმა პერსონალმა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებმა.“</p> <p>პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ შეფასებას და დასკვნით შეფასებას. სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში) მოცემულია ცოდნის შეფასების ფორმები, მეთოდები და კრიტერიუმები. სასწავლო კურსებში ცოდნის შეფასების 100-ქულიანი სკალა მოიცავს ორ ფორმას: 1) შუალედური შეფასება (მაქსიმუმ 60 ქულა), 2) დასკვნითი შეფასება (მაქსიმუმ 40 ქულა). შუალედური შეფასების კომპონენტებია: მიმდინარე აქტივობების შეფასება (მაქსიმუმ 30 ქულა) და შუასემესტრული გამოცდა (მაქსიმუმ 30 ქულა).</p> <p>სტუდენტის ცოდნის შეფასება ხდება 100-ქულიანი სკალით.</p> <p>დადებითი შეფასებებია:</p> <ul style="list-style-type: none"> • (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;

- (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებები:

• (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

• (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

FX-ის მიღების შემთხვევაში ინიშნება დამატებით გამოცდა, შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებულ ქულას.

სასწავლო კომპონენტის შემთხვევაში შუალედური შეფასების მაქსიმალური ქულაა 60, მინიმალური ჯამური დადებითი შეფასებაა 30 ქულა. დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულაა 40 მინიმალური დადებითი ქულაა 21. საწარმოო პრაქტიკის შემთხვევაში შუალედური შეფასების მაქსიმალური ქულაა 60, მინიმალური ჯამური დადებითი შეფასებაა 30 ქულა. დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულაა 40, მინიმალური დადებითი ქულაა 21 .

კვლევითი კომპონენტის შეფასების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია „მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასების წესში“, რომელიც განთავსებულია ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა სტუდენტისთვის <https://gtu.ge/Study-Dep/Forms/Regulations.php>

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებასთან შესაბამისობაშია მოსაყვანი „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციის“ მე-7 მუხლში (იხ. გვ. 7) არსებული ჩანაწერი: „4. სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის, შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევრის ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის შეფასება შეიძლება მე-6 მუხლის მე-17 პუნქტით ან ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული სისტემით (ა) ფრიადი (*summa cum laude*) – შესანიშნავი ნაშრომი; ბ) ძალიან კარგი (*magna cum laude*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება; გ) კარგი (*cum laude*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება; დ) საშუალო (*bene*) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს; ე) დამაკმაყოფილებელი (*rite*) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს; ვ) არადამაკმაყოფილებელი (*insufficient*) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო; ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (*sub omni canone*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს). ანალოგიურად, უნდა გასწორდეს ამავე მუხლის მე-5 პუნქტში არსებული ჩანაწერი. აქვე აღსანიშნავია, რომ პროგრამა ახალია და სამაგისტრო ნაშრომების შეფასება ჯერ არ განხორციელებულა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სტუ-ში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია ;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- სტუ-ს აკადემიური მოსწრების ელექტრონული მონიტორინგის სისტემები www.vici.gtu.ge
- მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასების წესი;

<ul style="list-style-type: none"> ○ ინტერვიუ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; ○ ინტერვიუ დაწესებულებაში დასაქმებულ პერსონალთან.
რეკომენდაციები:
-
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
<ul style="list-style-type: none"> ○ მიზანშეწონილია „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციაში“ არსებული ჩანაწერი სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის შეფასების შესახებ დროულად მოვიდეს შესაბამისობაში „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებასთან.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
-
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
-
შეფასება
<input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		<input checked="" type="checkbox"/>		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად სტუდენტს საჭირო ინფორმაციისა და კონსულტაციის მიღება შეუძლია უნივერსიტეტის ვებ-გვერდებიდან; ფაკულტეტის ადმინისტრაციისაგან და კომპიუტერული ინჟინერიის დეპარტამენტის წარმომადგენლებისგან. სტუ-ში არსებობს სტუდენტთა ინფორმირების ელექტრონული სერვისები, რომლითაც სტუდენტს შეუძლია დროულად

გაეცნოს შეფასების შედეგებს, მიიღოს ინფორმაცია უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესებისა და სიახლეების შესახებ.

სტუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის მეშვეობით სტუდენტები ინფორმირებულები არიან სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ; სტუდენტები ინტერვიუზე აღნიშნავენ, რომ სტუ-ში სისტემატიურად იმართება სხვადასხვა სპორტულ-კულტურული და შემეცნებითი სახის ღონისძიებები.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის ხელშეკრულებებში გათვალისწინებულია სტუდენტ-თა კონსულტაციებისათვის გამოყოფილი საათები. ინტერვიუზე სტუდენტები ადასტურებენ, რომ აკადემიური პერსონალისგან იღებენ მათთვის აუცილებელ კონსულტაციებს და საჭირო ინფორმაციას. როგორც ვიზიტის დროს ინტერვიუებისას ადმინისტრაციის წარმომდგენლებმა აღნიშნეს, სტუდენტებს კონსულტაციების მიღება ასევე შეუძლიათ ელექტრონული კომუნიკაციის გზით (ონლაინ) <https://elearning.gtu.ge/> გვერდის მეშვეობით, აღნიშნული ასევე დაადასტურეს ინტერვიუზე მყოფმა სტუდენტებმა.

ვინაიდან პროგრამა ახალია, ექსპერტები შეფასების პროცესში შევხვდით დაწესებულების მომიჯნავე სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს, შეხვედრაზე სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ ისინი პერიოდულად იღებენ ინფორმაციას და მართვის სისტემების ფაკულტეტის მენეჯერის აპარატისგან ინფორმაციას შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნებთან და სტუდენტურ დასაქმებასთან დაკავშირებით.

სტუ-ში ფუნქციონირებს აკადემიური მოსწრების ელექტრონული მონიტორინგის სისტემა, რომლის საშუალებითაც სტუდენტს შეუძლია დროულად გაეცნოს შეფასების შედეგებს, კომუნიკაცია დაამყაროს სასწავლო კურსის პედაგოგთან ელექტრონული შეტყობინების მეშვეობით, ნახოს აკადემიური ჯგუფების სასწავლო და კონსულტაციების ცხრილი, ლექტორების სასწავლო ცხრილი ვებგვერდის: https://leqtori.gtu.ge/2020_2021/II/B/info მეშვეობით.

დაწესებულებაში, ასევე, ფუნქციონირებს ელექტრონული პორტალი <https://elearning.gtu.ge/>, რომლის საშუალებით სასწავლო კურსის შესაბამისად, სტუდენტს შეუძლია მიიღოს სასწავლო მასალა და ინფორმაცია საკონსულტაციო საათების შესახებ, ასევე ატვირთოს შესრულებული დავალება; სტუდენტს და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს აქვს საუნივერსიტეტო ელექტრონული ფოსტა, რომელიც კომუნიკაციის და სასწავლო მასალების მიწოდების (ატვირთვის) დამატებით და ალტერნატიულ საშუალებას იძლევა.

სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, უნივერსიტეტის ვებგვერდზე ჩაშენებულია Facebook მესენჯერი.

მაგისტრანტებს კვლევითი უნარების განვითარებისთვის აქვთ საშუალება მიიღონ ინფორმაცია უახლესი ფუნდამენტური და გამოყენებითი ხასიათის საინჟინრო კვლევების შესახებ, რომლებიც მოიცავს ინფორმაციას დაწესებულებაში მიმდინარე სამეცნიერო და საგრანტო პროექტების თაობაზე. მათთვის ხელმისაწვდომია დაწესებულების სამეცნიერო დეპარტამენტის სერვისები: https://gtu.ge/Science/GTU_Scientific_Services_Services/.

დაწესებულებაში ფუნქციონირებს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი, რომლის დახმარებით სტუდენტებს აქვთ საშუალება მიიღონ ინფორმაცია საერთაშორისო გაცვლითი პროგრამებისა და პროექტების თაობაზე. ინფორმაციის მიღება შეუძლიათ დაწესებულების საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტში, ასევე ვებგვერდზე.

დაწესებულებაში ყოველწლიურად ტარდება სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენციები, დარგობრივი სემინარები, რომლებშიც სტუდენტებს აქვთ საშუალება მიიღონ მონაწილეობა.

დაწესებულებაში სტუდენტებისთვის ინოვაციური სწავლების და სწავლის ხელშეწყობისთვის ხორციელდება პროექტი PRINTeL - “ცვლილებები საკლასო ოთახში: ინოვაციური სწავლებისა

და სწავლის ხელშეწყობა სტუდენტის სასწავლო გამოცდილების გასაუმჯობესებლად აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში”, რომელიც მიზნად ისახავს სწავლებისა და სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას.

დაწესებულებაში, ასევე, მოქმედებს სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების ინოვაციური იდეების განვითარების ხელშეწყობა და მხარდაჭერა; სტუდენტებისთვის სამეწარმეო და ბიზნესცნობიერების განვითარების მიზნით საუნივერსიტეტო გარემოში არსებობს ინოვაციური ეკოსისტემის შექმნის ხელშეწყობის პროექტი InnoCENS „ინოვაციური კომპეტენციების და სამეწარმეო უნარების ამაღლება საინჟინრო განათლებაში“.

ინტერვიუს შედეგების საფუძველზე დასტურდება, რომ დაწესებულებაში პერიოდულად ტარდება სტუდენტების გამოკითხვა, რომელიც ორიენტირებულია პროგრამების სტრუქტურის, სასწავლო კურსების შინაარსის, მათი სათანადო ადამიანური და მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის პერიოდულ შეფასებაზე. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს შესაბამისი გამოკითხვის შედეგებიც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ელექტრონული სწავლების პორტალი elearning.gtu.ge;
- უსდ-ს ვებგვერდები:
 - <https://gtu.ge>;
 - https://leqtori.gtu.ge/2020_2021/II/B/info,
 - <https://vici.gtu.ge/#/dashboard>
- სტუდენტური თვითმმართველობის აქტივობები
- კომპიუტერული ინჟინერიის დეპარტამენტის აკადემიური პერსონალის
- კონსულტაციების განრიგი;
- სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები);
- გასაუბრება აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- გამოკითხვის შედეგები;
- გასაუბრება სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- უნივერსიტეტის ვებ-გვერდის განახლების პერიოდშივე, სტუდენტების ინფორმირებულობის მიზნით, ვებ-გვერდზე მიზანშეწონილია განთავსდეს ინფორმაცია კარიერასთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურების ხელმისაწვდომობის თაობაზე.
- სასურველია ვებ-ზე ჩაშენებული მესენჯერი იყოს facebook ავტორიზაციის გარეშე

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშის დანართად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას გაირკვა, რომ დაწესებულების აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებულ მაგისტრატურის დებულებაში მოცემულია მაგისტრანტის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელების უფლებები, მოვალეობები და ფუნქციები. პერსონალის დატვირთვა უზრუნველყოფს ეფექტურ და ხარისხიან ხელმძღვანელობას, ნაშრომებისა და პროექტების მაღალ ხარისხს. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მაგისტრანტის ხელმძღვანელის შერჩევა ხდება მაგისტრანტის მიერ სწავლების დასაწყისში, აღნიშნული ვიზიტის დროს დაადასტურეს მომიჯნავე პროგრამის კურსდამთავრებულებმა და პერსონალმა.

მაგისტრანტებისათვის ხელმძღვანელისა და თემის შერჩევის გაადვილების მიზნით, დეპარტამენტის უფროსი ორგანიზებას უკეთებს მაგისტრანტებისა და სავარაუდო ხელმძღვანელების შეხვედრას. ხელმძღვანელები წარმოადგენენ სამაგისტრო ნაშრომების სავარაუდო დასახელებებსა და მათ აქტუალურობას, აგრეთვე საკუთარი კვლევის მიმართულებებს. მაგისტრანტს უფლება აქვს, განაცხადოს მისთვის საინტერესო თემატიკის შესახებ. შეხვედრის საფუძველზე მაგისტრანტები აკეთებენ არჩევანს და შესაბამისი განცხადებით მიმართავენ აკადემიური დეპარტამენტის უფროსს.

მაგისტრანტს უფლება აქვს აგრეთვე ფაკულტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული ჩამონათვლიდან შეარჩიოს თემა და ხელმძღვანელი და აღნიშნულ შეხვედრაში მონაწილეობის მიღების გარეშე, თავისი არჩევანის შესახებ განცხადებით მიმართოს აკადემიური დეპარტამენტის უფროსს, რომელიც დეპარტამენტის სხდომაზე განხილვის საფუძველზე, დეკანატში წარადგენს მაგისტრანტების სიას ხელმძღვანელების კანდიდატურებისა და სამაგისტრო თემების დასახელებების მითითებით. მაგისტრანტი ხელმძღვანელთან ერთად ადგენს პერსონალურ სამუშაო გეგმას, სადაც მითითებულია სამაგისტრო ნაშრომის დასახელება, სავალდებულო და არჩევითი საგნების ჩამონათვალი, კვლევითი კომპონენტით გათვალისწინებული ჩასატარებელი ღონისძიებები.

ვიზიტზე გასაუბრებისას, კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ ხელმძღვანელი მაგისტრანტს კონსულტაციას უწევს სამაგისტრო ნაშრომის კვლევითი კომპონენტის მომზადებისა და დაცვის ფარგლებში გეგმის შედგენაში. ხელმძღვანელის მიერ მაგისტრანტთან, ეტაპობრივად, ურთიერთშეთანხმებულ ვადებში ხდება სამაგისტრო პროექტზე მუშაობის პროცესის შემოწმება. სამაგისტრო პროექტზე მუშაობის პროცესში ხელმძღვანელის და მაგისტრანტის ურთიერთშეთანხმებით შესაძლებელია სამაგისტრო თემატიკის კორექტირება და დაზუსტება. სამაგისტრო თემატიკისა და სამუშაო გეგმიდან გამომდინარე შესაძლებელია შეტანილ იქნეს ცვლილებები სამაგისტრო ნაშრომის საკითხებშიც. მაგისტრანტს, ასევე, შეუძლია შეიცვალოს ხელმძღვანელიც. მაგისტრანტისა და მისი ხელმძღვანელის ურთიერთკონსულტაცია ხორციელდება პერიოდულად, მათ შორის ელექტრონული ფორმითაც.

დაწესებულების ადმინისტრაციასთან ინტერვიუების დროს დასტურდება, რომ დაწესებულებას აქვს პლაგიატის ამომცნობი სისტემა, რომელიც გამოიყენება ნაშრომების შემოწმებისას. აღნიშნულის შესახებ კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს დროს დადასტურდა, რომ კურსდამთავრებულები ინფორმირებულნი არიან დაწესებულებაში არსებული ამ მექანიზმების შესახებ.

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის სახით, მაგისტრანტებს ჰყავთ მაღალკვალიფიციური ხელმძღვანელები, რაც დასტურდება პერსონალის CV-ებით, მათ მიერ გამოქვეყნებული ნაშრომებით და კონფერენციებში მონაწილეობით. (მეცნიერებათა აკადემიის წევრი -1, დარგობრივი აკადემიის წევრი -11, პროფესორი - 21+2(2 მოწვეული სპეციალისტია); ასოცირებული პროფესორი - 12). მათ აქვთ ინფორმაციულ ტექნოლოგიებში და კომუნიკაციებში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დიდი გამოცდილება. ბოლო ხუთი

წლის მანძილზე მათ მიერ: • გამოქვეყნებულია 481 სტატია, მათ შორის საერთაშორისო ჟურნალებში - 180; • ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებზე გაკეთებულია 164 მოხსენება ; • შესრულებულია 6 მონოგრაფია; • მიღებულია 20 გრანტი. • რეალიზებულია 17 საინჟინრო პროექტი. • მიღებული აქვთ 4 პატენტი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სტუ-ის ინფორმატიკის და მართვის სისტემები ფაკულტეტის დებულება;
- სტუ-ს ინფორმატიკის და მართვის სისტემები ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის - პროფესორი, ასოცირებული და ასისტენტ-პროფესორების შრომითი ხელშეკრულებები;
- დებულება მაგისტრატურის შესახებ;
- აკადემიური პერსონალის CV ;
- სტუდენტების გამოკითხვის შედეგები;
- ინტერვიუ აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან;
- ინტერვიუ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	<input checked="" type="checkbox"/>			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

➤ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;

- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/ შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 36 აკადემიური პერსონალი (21 აფილირებული პროფესორი, 12 აფილირებული ასოცირებული პროფესორი, 1 აფილირებული ასისტენტ-პროფესორი) და 2 მოწვეული პერსონალი.

მოწვეული პერსონალი ასევე დაკომპლექტებულია ამავე უნივერსიტეტის ყოფილი აკადემიური პერსონალით.

პროგრამის თანდართულ მასალებში საგანგებოდ მოწოდებულია აკადემიური პერსონალის ჩამონათვალი, რომლებიც არიან დარგის მოქმედი სპეციალისტები, რაც აკომპენსირებს ერთი შეხედვით მოწვეული პრაქტიკოსი პერსონალის სიმცირით გამოწვეულ უკმარისობას.

ვინაიდან პროგრამა ახალია, თვითშეფასებაში არ არის ბოლო 5 წლის მანძილზე აკადემიური და მოწვეული პერსონალის დენადობის მაჩვენებლები, თუმცა პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის რეზუმეებში ჩანს, რომ მათი აბსოლუტური უმეტესობა 10-წელზე მეტია ამ უნივერსიტეტის კადრია, რაც პერსონალის დენადობის რისკების კუთხით ოპტიმისტურ მოლოდინს ქმნის.

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტებით. წარმოდგენილ რეზუმეებში არის ბევრი ორთოგრაფიული ხარვეზი, მათ შორის ბევრგან თავად უსდ-ს დასახელებაში, ასევე დროის მონაკვეთების მითითებაში, მითითებულია პუბლიკაციები, სადაც ავტორებში მითითებულია სხვა გვარები და არ არის მითითებული თავად პიროვნების (რეზუმეს ავტორის) გვარი, ამ შემთხვევაში გაუგებარია, მისი გვარია გამორჩენილი, თუ თავად პუბლიკაციაა არასწორად მითითებული. გამომდინარე აქედან, სასურველია, გადაიხედოს წარმოდგენილი რეზუმეები საფუძვლიანად როგორც რედაქციული, ასევე მონაცემთა დაზუსტების მიზნით. წარმოდგენილ რეზუმეებში გამორჩენილია ზოგიერთი პერსონალის რეზუმე (მაგალითად, ქეთევან ცომაია, ია მოსაშვილი, ..), ასევე წარმოდგენილია ისეთი პერსონალის რეზუმეები, რომლებიც არ მონაწილეობენ პროგრამაში შეთავაზებულ არც ერთ კურსში (მაგალითად, კირცხალია გიორგი და ა.შ.). მიზანშეწონილია მეტი ყურადღება მიექცეს დოკუმენტების ტექნიკურ მხარეს ტექსტებში ხარვეზების თავიდან აცილების მიზნით.

თვითშეფასების ანგარიშში მითითებულია რომ პროგრამაში ჩართული პერსონალის მიერ ბოლო 5 წლის მანძილზე ადგილობრივ სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობაა 137, ხოლო საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომებისა - 180, ასევე ადგილობრივ კონფერენციებში გაკეთებული მოხსენებების რაოდენობაა 30, ხოლო საერთაშორისო კონფერენციებზე - 134, მნიშვნელოვანია ასევე, რომ პერსონალი ჩართულია 20

<p>სამეცნიერო გრანტსა და 17 განხორციელებულ პროექტში, რაც ნამდვილად შეიძლება ითქვას, რომ საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია.</p> <p>პროგრამის ხელმძღვანელი 2006 წლიდან საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ხოლო 2009 წლიდან - ამავე უნივერსიტეტის პროფესორია, ასევე ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის მოქმედი სადისერტაციო საბჭოს წევრია. პროგრამის სასწავლო კურსებში დამატებულია ფრიად საინტერესო ახალი საგნები, როგორცაა ინოვაციური მეწარმეობა და კრეატიული („შემოქმედებითი“ ალბათ უკეთესი იქნებოდა) აზროვნების უნარები, რაც პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ამ პროგრამისადმი ახლებურ და გულმოდგინე მიდგომაზე მიუთითებს, ვინაიდან თანამედროვე გამოწვევების გათვალისწინებით უაღრესად მნიშვნელოვანია არამარტო კონკრეტული ტექნოლოგიების ან/და პრაქტიკული ინსტრუმენტების სწავლება, არამედ საკუთარი იდეების გენერირებისა და მათი განხორციელების მხრივ სტუდენტების აზროვნების მიმართვა და მათთვის შესაბამისი უნარების განვითარება.</p> <p>თვითშეფასების თანახმად, პროგრამაში ჩართული ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობაა 5, რაც საკმარისია პროგრამის განხორციელებასა და სტუდენტთა მომსახურების საკითხებში.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის რეზუმეები, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომები და სერტიფიკატები; ○ პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი არის დარგის მოქმედი სპეციალისტი.pdf; ○ გასაუბრება აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ○ გასაუბრება სტუდენტებთან.
<p>რეკომენდაციები:</p> <p>-</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> ○ სასურველია შესაბამისი სფეროს პროგრამების წარჩინებული მაგისტრანტებისა და დოქტორანტების უფრო მეტად წახალისება პროგრამის სასწავლო კურსებში მათი ჩართვისათვის (თუნდაც პრაქტიკულ მეცადინეობებში). ○ მიზანშეწონილია მეტი ყურადღება მიექცეს დოკუმენტების ტექნიკურ მხარეს ტექსტებში ხარვეზების თავიდან აცილების და ინფორმაციის სრულად და ზუსტად ასახვის მიზნით.
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <p>-</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <p>-</p>
<p>შეფასება</p> <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

➤ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;

➤ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დაწესებულებაში შემუშავებულია პერსონალის განვითარებაზე ორიენტირებული „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და სტრატეგია“, რომლის მიხედვითაც ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა უნივერსიტეტში ისეთი გარემოს უზრუნველყოფა, სადაც თითოეულ თანამშრომელს ეძლევა საკუთარი პოტენციალის და მისწრაფებების რეალიზების შესაძლებლობა.

პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი დაკავებულია აქტიური სამეცნიერო და საინჟინრო საქმიანობით, რაც გამოიხატება მოპოვებული გრანტებით, გამოგონებებზე მიღებული პატენტებით, პუბლიკაციებით, კონფერენციებში და გამოფენებში მონაწილეობით.

თვითშეფასებაში მითითებული რიცხვითი მაჩვენებლების გარდა, გასული 5 წლის მანძილზე აკადემიური პერსონალის სამეცნიერო, კვლევითი და საინჟინრო აქტივობების დეტალური ჩამონათვალი მოწოდებულია ცალკე დოკუმენტის სახით, საიდანაც ვიგებთ, რომ აკადემიური პერსონალის მიერ 2016-2021წწ. გამოქვეყნებულია - 194 სტატია, 6 მონოგრაფია, 57 სახელმძღვანელო, მონაწილეობა მიღებული აქვთ 12 სამეცნიერო გრანტსა და 12 სასწავლო გრანტში, გავლილი აქვთ 13 სხვადასხვა ტრენინგი, მოხსენება გატანილი აქვთ 30 სხვადასხვა კონფერენციაში, არიან 6 გამოგონების თანაავტორები.

კომპიუტერული ინჟინერიის დეპარტამენტი ყოველწლიურად ამზადებს გავლილი წლის სამეცნიერო მუშაობის ანგარიშს, რომელიც წარედგინება სტუ-ს სამეცნიერო ნაწილს და ფასდება საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის სპეციალური კომისიის მიერ.

მოქმედებს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის აკადემიურ, მოწვეულ პროფესორზე და მასწავლებელთა პერსონალზე სახელფასო დანამატის (ბონუსის) გაცემის წესი, თუმცა მოწოდებულ დოკუმენტს არ ახლავს დანართი 1, ამიტომ ვერ ვადგენთ რა კრიტერიუმებით ხდება პერსონალის შეფასება და რამდენად არის ასახული სამეცნიერო მუშაობის ანგარიშის შედეგები.

აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შექმნილია პროფესიული განვითარების ცენტრი, სადაც, პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი გადის ტრენინგებს შემდეგი მიმართულებით: კარიერის დაგეგმვა; სწავლისა და სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიები; სწავლის შედეგები და მათი შეფასება.

ფუნქციონირებს საფაკულტეტო კომისიები, რომელთა ერთ-ერთი ამოცანაა აკადემიური პერსონალის მიერ ჩატარებული მეცადინეობების ხარისხის და საგანმანათლებლო პროგრამებთან შესაბამისობის შეფასება. მეცადინეობების ხარისხის შეფასების პროცესი წარიმართება მეცადინეობაზე ფიზიკური დასწრებით ან/და მეცადინეობის ვიდეო ჩანაწერის შესწავლით

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ატარებს სტუდენტთა სემესტრულ გამოკითხვას და აანალიზებს შედეგებს. ვიზიტის დროს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ პერსონალი საჭიროების შემთხვევაში ეცნობა მიღებულ შედეგებს, ხოლო შეფასების შედეგებზე ადმინისტრაცია ახდენს რეაგირებას. მათ ასევე აღნიშნეს, რომ ბოლო პერიოდში ჩაეშვა ახალი გამოკითხვის სისტემა, რომელიც უკეთესი ანალიზის შესაძლებლობას იძლევა, ასევე დაადასტურეს, რომ ბოლო პერიოდში გაზრდილია

სასწავლო კურსებისა და პერსონალის შეფასების გამოკითხვაში მონაწილე სტუდენტთა დაინტერესება და შესაბამისად რაოდენობაც.
მტკიცებულებები/ინდიკატორები <ul style="list-style-type: none"> ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ სამეცნიერო, საინჟინრო აქტივობები 2016-2021 წწ; ○ პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის რეზუმეები; ○ აკადემიურ, მოწვეულ პროფესორზე და მასწავლებელთა პერსონალზე სახელფასო დანამატის (ბონუსის) გაცემის წესი; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
<p>პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>დაწესებულება აღჭურვილია კომპიუტერული სისტემებისა და ქსელური ტექნოლოგიების პროგრამის (და ზოგადად სასწავლო პროცესის) განხორციელებისთვის საჭირო ტექნიკური და მატერიალური რესურსებით, მათ შორის აღსანიშნავია 32 სასწავლო და კვლევითი ლაბორატორია.</p> <p>პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში საკმაოდ დეტალურადაა მითითებული აღნიშნული პროგრამის განხორციელებისათვის ხელმისაწვდომი მატერიალურ ტექნიკური ბაზა. აკრედიტაციის ვიზიტისას ადგილზე მოხდა შემდეგი ლაბორატორიების დათვალიერება:</p> <ul style="list-style-type: none"> • კომპიუტერული ქსელების (მათ შორის უკაბელო) ლაბორატორია; • იმიტაციური მოდელირების ლაბორატორია; • მიკროპროცესორული სისტემების ლაბორატორია; • SCADA სისტემების ლაბორატორია; • დიდი მონაცემების ლაბორატორია; • ბიომეტრიული ტექნოლოგიების ლაბორატორია. <p>დაწესებულებაში ფუნქციონირებს სასწავლო პროცესის პროგრამული უზრუნველყოფა, სადაც შესაძლებელია სასწავლო კომპონენტების, მათ შორის საწარმოო პრაქტიკის ანგარიშის მართვა.</p>

ფაკულტეტის ბიბლიოთეკაში და ასევე სტუ-ს ცენტრალურ ბიბლიოთეკაში განთავსებულია სასწავლო კურსის პროგრამებით (სილაბუსებით) განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა, უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები, როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონულ სახით.

შესაბამისად, ფაკულტეტის ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა რაოდენობრივად და ხარისხობრივად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- აკრედიტაციის ვიზიტისას ადგილზე დათვალიერებული ლაბორატორიები
- ფაქტობრივი მდგომარეობა;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის ბიუჯეტი წარმოდგენილია პირველ წელს 40, ხოლო მეორე წელს 75 მოქმედი სტუდენტის სწავლის გადასახადით მიღებული შემოსავლის ბაზაზე ორი წლის ჭრილში, სადაც მოცემულია სწავლის გადასახადიდან მოსალოდნელი შემოსავლები, რომლებიც ძირითადად გადანაწილებულია პროგრამის მომსახურე აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურების, საკანცელარიო და განვითარების ხარჯებზე.

განვითარების ხარჯები არ არის დეტალიზებული, თუმცა თვითშეფასების ანგარიშში მითითებულია, რომ უზრუნველყოფილი იქნება ინფრასტრუქტურის განვითარება, საბიბლიოთეკო ფონდის შევსება, სტიპენდიები და სტუდენტურ პროექტების დაფინანსება. აღნიშნული, ასევე, განმარტეს და დაადასტურეს დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე მდგომარეობით პროგრამა უზრუნველყოფილია მაღალტექნოლოგიური ლაბორატორიებით, რომლებიც ვიზიტის დროს დავათვალიერეთ, ასევე აუდიტორიებით, ბიბლიოთეკით და სხვა ინფრასტრუქტურული აღჭურვილობით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის ბიუჯეტი ;

○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	<input checked="" type="checkbox"/>			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

<p>5.1 შიდა ხარისხის შეფასება</p> <p>პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.</p> <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>დაწესებულებაში ხარისხის მართვა გულისხმობს ინსტიტუციის და თითოეული ფაკულტეტის დონეზე წინასწარ განსაზღვრული წესებისა და მექანიზმების გამოყენებას. ამ მიზნით, დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური (ცენტრალური ოფისი) შეიმუშავებს შესაბამის მარეგულირებელ და სარეკომენდაციო დოკუმენტებს, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები კი უზრუნველყოფენ ფაკულტეტის დონეზე ამ წესებისა და მექანიზმების დანერგვა-გამოგენებას, შეიმუშავებენ რეკომენდაციებს, თანამშ-</p>
--

რომლობენ საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებთან და განმახორციელებლებთან, სამუშაო ჯგუფებთან, ასევე ასრულებენ სხვა ფუნქციებს, რომლებიც განსაზღვრულია დაწესებულებაში მოქმედი წესებით (მათ შორის, „ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დებულება“, მ. 11 „ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური“). ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური (როგორც ცენტრალური, ისე ფაკულტეტის ოფისი) მოქმედებენ ერთიანი პრინციპებით და მიდგომებით.

ხარისხის უზრუნველყოფისა და პროგრამის შეფასების პროცესებისადმი მოთხოვნები განისაზღვრება დაწესებულებაში მოქმედი მარეგულირებელი დოკუმენტებით, მათ შორის:

- „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“ (აკადემიური საბჭოს №01-05-04/108, 17.04.2018 დადგენილების დანართი), რომლის თანახმად, ხარისხი არის ობიექტის (მაგ., საქმიანობა, პროცესი, გაწეული მომსახურება) მახასიათებლების შესაბამისობის დონე დადგენილ მოთხოვნებთან. ამ დოკუმენტის თანახმად, უნივერსიტეტის პოლიტიკა ხარისხის უზრუნველყოფის სფეროში ორიენტირებულია ISO 9000 სერიის სტანდარტებთან და ESG-2015-ის („ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში“) სახელმძღვანელო პრინციპებთან შესაბამისობის უზრუნველყოფაზე, სისტემის განვითარება ხდება ხარისხის მართვის პრინციპების შესაბამისად, ე. წ. PDCA ციკლის მიხედვით. დოკუმენტში დეტალურად არის აღწერილი: 1) ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმის შემუშავების პრინციპები (1.1. მომხმარებელზე ორიენტაცია, 1.2. ხელმძღვანელობის ლიდერობა, 1.3. თანამშრომელთა ჩართულობა, 1.4. მუდმივი გაუმჯობესება, 1.5. გადაწყვეტილებების მიღება ფაქტებისა და მონაცემების საფუძველზე, 1.6. ურთიერთსასარგებლო ურთიერთობა პარტნიორებთან) და 2) ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სტანდარტები (2.1. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა, 2.2. პროგრამების შემუშავება და დამტკიცება, 2.3. სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა, სწავლება და შეფასება, 2.4. სტუდენტის მიღება, პროგრესია, აღიარება და სერტიფიცირება, 2.5. მასწავლებლები/ლექტორები, 2.6. სასწავლო რესურსები და სტუდენტების მხარდაჭერა, 2.7. ინფორმაციის მენეჯმენტი, 2.8. საჯარო ინფორმაცია, 2.9. მიმდინარე მონიტორინგი და პროგრამების პერიოდული შეფასება, 2.10. ხარისხის პერიოდული გარე უზრუნველყოფა).
- „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი“ (აკადემიური საბჭოს №01-05-04/261, 23.09.2019 დადგენილების დანართი), რომელიც არეგულირებს საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, შეფასების და განვითარების პროცესებს, ადგენს პროგრამის შემუშავებისას გასათვალისწინებელ ასპექტებს (პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, მიზნები, შედეგები, მოცულობა კრედიტებში, სწავლების ენა, სწავლის შედეგების მიღწევის (სწავლება-სწავლის) მეთოდები, სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა, პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსი, პროგრამის მდგრადობის შეფასება, სხვ.) და პროგრამის შეფასებისა და განვითარების პროცესში შეფასების კრიტერიუმებს. პროგრამის განვითარება მიმდინარეობს ხარისხის მართვის პრინციპების, მათ შორის PDCA ციკლის გამოყენებით.

გარდა ზემოთ მითითებულისა, შემუშავებულია და მოქმედებს სხვადასხვა რეკომენდაციები, წესები და ფორმები, მაგალითად: „სასწავლო კურსის პროგრამის (სილაბუსის) შედგენის რეკომენდაციები“, „სასწავლო კურსის პროგრამის (სილაბუსის) შემოწმების რეკომენდაციები“ (მათ შორის, დანართები: #1 – „სასწავლო კურსის პროგრამის (სილაბუსის) შემოწმ-

მების ფურცელი“; #2 - „საგანმანათლებლო პროგრამასთან სილაბუსის შესაბამისობის შემოწმების ფურცელი“), „სასწავლო კურსის პროგრამის (სილაბუსის) განხილვისა და დამტკიცების წესი“, „საგანმანათლებლო პროგრამის და მათი განხორციელების დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის პერიოდული შეფასება“.

აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი პროგრამის შემუშავებისა და თვითშეფასების პროცესი უზრუნველყო ფაკულტეტზე შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა, რომელშიც სხვადასხვა ფორმით იყვნენ ჩართულნი პროგრამის ხელმძღვანელი და განმახორციელებელი პერსონალის წარმომადგენლები, მომიჯნავე პროგრამის სტუდენტი და კურსდამთავრებული, პოტენციური დამსაქმებელი და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი, ასევე სტრუქტურული ერთეულები, რომლებმაც მოამზადეს და სამუშაო ჯგუფს გადასცეს საჭირო ინფორმაცია, მონაცემები და სხვ. სამუშაო ჯგუფის წევრებმა, პროგრამის ხელმძღვანელმა და განმახორციელებლებმა აღნიშნეს, რომ პროგრამის შემუშავებისა და შეფასების პროცესში მიღებულ იქნა სათანადო ინფორმაცია, კონსულტაცია და მხარდაჭერა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისაგან, ასევე, ისაუბრეს დაწესებულებაში მოქმედი პროგრამის შეფასების მექანიზმების შესახებ, მაგალითად: სტუდენტების მიერ პროგრამის და პროგრამის განმახორციელებელთა შეფასება (გამოკითხვები), პროგრამის განმახორციელებლების მოსაზრებების შესწავლა (გამოკითხვები), ლექციებზე ურთიერთდასწრება და პროგრამის განმახორციელებლების შეფასება, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი და პროგრამის შედეგების მიღწევის შესწავლა (სამიზნე ნიშნულებთან დადარება) და სხვ.

სამუშაო ჯგუფის მიერ შესწავლილ და გაანალიზებულ იქნა მოქმედ კანონმდებლობასთან და სტანდარტებთან პროგრამისა და მისი კომპონენტების (სილაბუსებში მითითებული ინფორმაციის) შესაბამისობა, არსებული პრაქტიკა და გამოწვევები, ასევე, პროგრამისთვის მნიშვნელოვანი სხვადასხვა ასპექტები. ასე, მაგალითად, ფაკულტეტის დეკანის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და პროგრამის ხელმძღვანელის განმარტებით:

- პროგრამის განხორციელების ხარისხი კავშირშია პროგრამის სტუდენტთა რაოდენობის სწორ განსაზღვრასთან, რაც, თავის მხრივ, კავშირშია პროგრამის სათანადო რესურსების არსებობასა და საკმარისობასთან (ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი (ლაბორატორიული აღჭურვილობის, მასალების, სათანადო ლიტერატურის და სხვ.); ადამიანური რესურსი (პროგრამის კომპონენტების სპეციფიკის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე განმახორციელებელი პერსონალი); პროგრამის შენარჩინებისა და განვითარების ფინანსური რესურსი). საკითხის შესწავლის შედეგად დაგეგმილია პროგრამაზე 40 სტუდენტის მიღება, ასევე, გათვალისწინებულია უკვე მოქმედი პროგრამის სტატისტიკა, მათ შორის კურსიდან კურსზე სტუდენტთა გადასვლის მაჩვენებელი (დაახლოებით 90%).
- პროგრამის სათანადო რესურსების არსებობა და საკმარისობა ექვემდებარება სისტემატურ შესწავლას, რესურსებით პროგრამის უზრუნველყოფაზე მიმართულია პროგრამის და ფაკულტეტის ბიუჯეტი. დაწესებულებაში მოქმედი წესის („ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დებულება“, მ. 34. „ფაკულტეტის ბიუჯეტი“) თანახმად: ფაკულტეტის ბიუჯეტის პროექტს დეკანთან შეთანხმებით ადგენს მენეჯერი, რომელსაც განსახილველად წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს. ფაკულტეტის საბჭოს მიერ განსაზღვრული ფაკულტეტის ბიუჯეტის პროექტი გადაეცემა ადმინისტრაციის ხელმძღვანელს (კანცლერს) უნივერსიტეტის ერთიანი ბიუჯეტის პროექტში ასახვის მიზნით. ინტერვიუს დროს დაწესებულების საფინანსო დეპარტამენტის უფროსმა და რექტორის

მოადგილემ აღნიშნეს, რომ საჭიროების შემთხვევაში პროგრამა იქნება უზრუნველყოფილი დაწესებულების ცენტრალური ბიუჯეტიდან, რომელიც ბოლო წლების განმავლობაში არის სტაბილურად მზარდი.

- ერთ-ერთი საკვანძო საკითხი იყო შრომის ბაზრის მოთხოვნების და უცხოეთში არსებული გამოცდილების, პროგრამის გარე შემფასებლების და დამსაქმებლების მოსაზრებების შესწავლა. მიღებული ინფორმაციის შეჯამებისა და ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბდა პროგრამის კურიკულუმი და შემუშავდა პროგრამის კომპონენტების სილაბუსები, დადგინდა პროგრამის მიზნებისა და დაგეგმილი შედეგების ურთიერთშესაბამისობა, განხორციელდა კურიკულუმის ანალიზი - განისაზღვრა პროგრამის შედეგების ფორმირებაში პროგრამის თითოეული სავალდებულო კომპონენტის წვლილი (საფუძველების შექმნა, გაღრმავება, განმტკიცება) და სხვ. (იხ. დოკუმენტი „სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული სისტემები და ქსელური ტექნოლოგიები“ სწავლის შედეგების შეფასების სისტემა“).

ჯგუფის მუშაობის შედეგები აისახა სხდომის ოქმებში და დოკუმენტებში, რომლებიც ერთვის სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის თვითშეფასების ანგარიშს. პროგრამის დასრულებული პროექტის და პროგრამის ხელმძღვანელის ვინაობა დამტკიცდა დაწესებულებაში მოქმედი წესების შესაბამისად.

წარმოდგენილ დოკუმენტებზე და ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით, გამოიკვეთა დადებითი და გასაუმჯობესებელი გარემოებები, კერძოდ:

- დაწესებულებაში მოქმედ ხარისხის უზრუნველყოფის სისტემას აქვს რელევანტური თეორიული საფუძველები, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ სისტემის მდგრადობას და წინასწარ განსაზღვრული პროცედურებისა და მექანიზმების გამოყენებას. ასევე, უზრუნველყოფილია ერთგვაროვანი მიდგომა და მოთხოვნები პროგრამის კურიკულუმისა და სილაბუსებისადმი - შეშემუშავებულია და გამოიყენება პროგრამის კურიკულუმის და სილაბუსების სარეკომენდაციო უნიფიცირებული ფორმები. (დასტურდება დაწესებულებაში მოქმედი მარეგულირებელი დოკუმენტებით);
- არ არის მკაფიოდ განსაზღვრული პროგრამის შეფასების სქემა - მაგალითად, პროგრამის შეფასების ეტაპები, პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების ციკლი და პერიოდულობა, პროცესების თანმიმდევრობა და ა.შ., რაც მნიშვნელოვანია პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვისა და განხორციელებისათვის (დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტებით);
- პროგრამის შედეგების მიღწევის შეფასებისთვის უნდა დაიხვეწოს დოკუმენტში „სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული სისტემები და ქსელური ტექნოლოგიები“ სწავლის შედეგების შეფასების სისტემა“ მითითებული პროგრამის შედეგების მიღწევის შეფასების და სამიზნე ნიშნულების განსაზღვრის მექანიზმი (მითითებულია: „პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებას ვახდენთ სამაგისტრო პროექტით“, იხ. გვ. 8). კერძოდ: ან 1) უნდა დაკორექტირდეს „ცხრილი 2. პროგრამის სწავლის შედეგი“, სადაც სამაგისტრო ნაშრომის გარდა მითითებულია პროგრამის შედეგების ფორმირებაში განმტკიცების დონეზე მონაწილე სხვა კომპონენტებიც ან 2) პროგრამის თითოეული შედეგისთვის უნდა მიეთითოს შედეგის ფორმირებაში განმტკიცების დონეზე მონაწილე პროგრამის ყველა კომპონენტი (იხ. გვ. 6-7), შესაბამისი შეფასების მეთოდ(ებ)ი/ინდიკატორ(ებ)ი, სამიზნე ნიშნული (ქულობრივი მაჩვენებელი) და სტუდენტთა სავარაუდო რაოდენობა (მაჩვენებელი), რომლებიც ამ შედეგს მიაღწევენ. აქვე აღსანიშნავია, რომ პროგრამა ახალია და არსებული მექანიზმების დახვეწით შესაძლებელი გახდება

მომავალში როგორც პროგრამის ათვისების ხარისხის დადგენა, ისე მონაცემების დინამიკის კონტროლი. (დასტურდება დოკუმენტით „სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული სისტემები და ქსელური ტექნოლოგიები“ სწავლის შედეგების შეფასების სისტემა“).

- პერსონალი ჩართულია დაწესებულებაში მიმდინარე პროცესებში, ფლობს ინფორმაციას დაწესებულებაში მოქმედი წესების შესახებ, იღებს მხარდაჭერას, ასევე - სათანადო კონსულტირებას და ხელშეწყობას ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისაგან (დასტურდება ინტერვიუს შედეგებით);
- პროგრამის შემუშავების და შეფასების პროცესი - კომპლექსური და თანამშრომლობითია: პროგრამის შემუშავება და შეფასება განხორციელდა სამუშაო ჯგუფის მიერ, დაწესებულებაში მოქმედი წესების შესაბამისად, გამჭვირვალედ და კომპლექსურად. პროგრამის შემუშავების პროცესში შესწავლილ იქნა პროგრამისთვის მნიშვნელოვანი ასპექტები, იყო უზრუნველყოფილი ამ პროცესებში სამუშაო ჯგუფის ყველა წევრის ჩართულობა და ინფორმირება, გამოყენებულ იქნა მომჯნავე პროგრამის განხორციელებით უკვე მიღებული გამოცდილება, უცხოეთის უსდ-ების ანალოგიური პროგრამებთან დადარების შედეგები, პოტენციური დამსაქმებლების მოსაზრებების და გარე შეფასების გათვალისწინება. (დასტურდება როგორც დოკუმენტურად, ისე ინტერვიუს შედეგებით).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დებულება“ (დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2021 წლის 30 ივნისის #01-05-17/05 ერთობლივი დადგენილებით №01-05-17/05, 30.06.2021);
- „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“ (აკადემიური საბჭოს №01-05-04/108, 17.04.2018 დადგენილების დანართი);
- „სასწავლო კურსის პროგრამის (სილაბუსის) განხილვისა და დამტკიცების წესი“ (დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს №2427, 02.06.2017 დადგენილებით);
- „სასწავლო კურსის პროგრამის (სილაბუსის) შედგენის რეკომენდაციები“;
- „სასწავლო კურსის პროგრამის (სილაბუსის) შემოწმების რეკომენდაციები“;
- „საგანმანათლებლო პროგრამის და მათი განხორციელების დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის პერიოდული შეფასება“;
- პროგრამის კურიკულუმი; „პროგრამის სწავლის შედეგები“; „პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა“;
- „სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული სისტემები და ქსელური ტექნოლოგიები“ სწავლის შედეგების შეფასების სისტემა“;
- „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის ინსტრუქცია“;
- „სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული სისტემები და ქსელები“ შემუშავების შესახებ (ამონაწერი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კომპიუტერული ინჟინერიის დეპარტამენტის (801) გაფართოებული სხდომის ოქმიდან №20, 01.06.2020);
- „სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული სისტემები და ქსელები“ შემუშავების შესახებ (ამონაწერი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კომპიუტერული ინჟინერიის დეპარტამენტის (801) გაფართოებული სხდომის ოქმიდან №20, 01.06.2020);
- „ახალი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული სისტემები და ქსელები“ თვითშეფასების ჯგუფის დამტკიცების შესახებ (ამონაწერი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფალულტეტის საბჭოს სხდომის ოქმიდან №10, 18.09.2020);

<ul style="list-style-type: none"> ○ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკის და მართვის სისტემების ფაკულტეტის კომპიუტერული ინჟინერიის დეპარტამენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ჯგუფის სხდომის ოქმები №1, 17.06.2020; №2, 15.07.2020; №3, 16.09.2020; ○ „ახალი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული სისტემები და ქსელები“ განხილვის შესახებ“ (ამონაწერი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კომპიუტერული ინჟინერიის დეპარტამენტის (801) გაფართოებული სხდომის ოქმიდან №07, 19.02.2021); ○ „ახალი პროგრამის შესახებ“ (ამონაწერი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმიდან №12, 06.11.2021); ○ „საგანმანათლებლო პროგრამის და მისი ხემძღვანელის დამტკიცების შესახებ“ (აკადემიური საბჭოს დადგენილება №01-05-04/84, 03.12.2021); ○ შრომის და დასაქმების ბაზრის კვლევა; ○ „კომპიუტერული სისტემები და ქსელური ტექნოლოგიები. უცხოურ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებთან დადარება“ (დამატებით წაროდგენილი დოკუმენტი); ○ ინტერვიუს შედეგები.
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> ○ რეკომენდებულია შემუშავდეს პროგრამის შეფასების სქემა, რომელშიც მკაფიოდ იქნება განსაზღვრული პროგრამის შეფასების ეტაპები, პერიოდულობა და გამოყენებული შეფასების მეთოდები. ○ რეკომენდებულია დაიხვეწოს დოკუმენტში „სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული სისტემები და ქსელური ტექნოლოგიები“ სწავლის შედეგების შეფასების სისტემა“ მითითებული პროგრამის შედეგების მიღწევის დადასტურებისა და შეფასების მექანიზმი, კერძოდ: დაკორექტირდეს თვისობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლები, მათ შორის დაზუსტდეს პროგრამის შედეგების მიღწევის კომპონენტები, დადასტურდეს/შეფასების მეთოდები და რიცხობრივი მაჩვენებლები (სამიზნე ნიშნულები).
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>-</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <p>-</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <p>-</p>
<p>შეფასება</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>5.2 გარე ხარისხის შეფასება</p> <p>პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.</p>
--

<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი პროგრამის გარე შეფასება განახორციელეს სხვადასხვა ორგანიზაციების, ასევე საქართველოს და უცხოეთის უსდ-ების წარმომადგენლებმა (სააქციო საზოგადოება „თელასი“, სააქციო საზოგადოება „საქართველოს სამეცნიერო-საგანმანათლებლო კომპიუტერული ქსელების ასოციაცია (GRENA)“, სსიპ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტი; City Tech and Graduate Center The City University of New York, University of Applied Sciences and arts Antwerp). მათ მიერ პროგრამის შეფასება დასტურდება ოფიციალური წერილებით.</p> <p>პროგრამის ხელმძღვანელის განმარტებით, სამუშაო ჯგუფი თანამშრომლობდა დარგობრივ ორგანიზაციებთან და პროგრამის შემუშავების პროცესში გაითვალისწინა მიღებული შენიშვნები, რაც ინტერვიუს დროს დაასტურეს პოტენციურმა დამსაქმებლებმა. მათ აღნიშნეს, რომ განიხილეს პროგრამა და დადებითად აფასებენ მას.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები:</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პროგრამის გარე შეფასების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ერთვის პროგრამის თვითშეფასების ანგარიშს დანართების სახით); ○ ინტერვიუს შედეგები.
<p>რეკომენდაციები:</p> <p>-</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>-</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <p>-</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <p>-</p>
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება</p> <p>პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი პროგრამა ახალია. შესაბამისად, ობიექტური გარემოებების გამო, ვერ იქნებოდა გამოყენებული დაწესებულების მარეგულირებელი დოკუმენტებით დადგენილი ყველა მექანიზმი (მაგ., პროგრამის შეფასება არაპირდაპირი და პირდაპირი მეთოდებით, პროგრამის სტუდენტების და კურსდამთავრებულების დამოკიდებულებების შესწავლა, პროგრამის შედეგების მიღწევის შეფასება და ა.შ.). აღნიშნულიდან გამომდინარე, ქვემოთ მოცემულია იმ მექანიზმების აღწერა, რომლებიც განსაზღვრულია</p>

დაწესებულების მარეგულირებელი დოკუმენტებით და შეიძლება იყოს გამოყენებული პროგრამის განხორციელების შემთხვევაში, მაგალითად:

- დაწესებულებაში მოქმედი დოკუმენტის „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“ (დანართი „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“) თანახმად, ხარისხის უზრუნველყოფა ციკლური პროცესია: გამოიყენება PDCA-ს პრინციპი, რომელიც მოიცავს ოთხ ელემენტს (დაგეგმვა, განხორციელება, შემოწმება, განვითარება). ამავე დოკუმენტის თანახმად, პროგრამების შეფასება და რევიზია ხორციელდება პერიოდულად სტუდენტების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. შეფასება ძირითადად ხდება სტუდენტთა, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, კურსდამთავრებულების და დამსაქმებელთა გამოკითხვით, რისთვისაც შემუშავებულია შესაბამისი კითხვარები. დამსაქმებლებისთვის შემუშავებული კითხვარების მეშვეობით დამსაქმებლებს შეუძლიათ შეაფასონ პროგრამა და ამ პროგრამის კურსდამთავრებულთა კომპეტენციები (იხ. „კითხვარი ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილების შესახებ“; „სამაგისტრო პროგრამა ინფორმატიკის კომპიუტერული ინჟინერიისმოდულის კურსდამთავრებულის კმაყოფილების შეფასება“; „კითხვარი დამსაქმებლისთვის“, „სტუდენტის კითხვარი“).
- პროგრამის შეფასებას ახორციელებს რექტორის ბრძანებით №01-09-10/273, 17.11. 2019 შექმნილი საფაკულტეტი კომისია (შემდგომში - კომისია). ამავე ბრძანებით განსაზღვრულია კომისიის მუშაობის რეგლამენტი. კომისიას თავმჯდომარეობას უწევს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, კომისიის მუშაობის საერთო ხელმძღვანელობას და კონტროლს კი ახორციელებს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. კომისია, უნივერსიტეტში მოქმედი მარეგულირებელი დოკუმენტების შესაბამისად, დადგენილი პერიოდულობით აფასებს პროგრამის სტრუქტურას, შინაარსს, რესურსებით უზრუნველყოფას, სტანდარტებთან შესაბამისობას და სხვ., შეიმუშავებს რეკომენდაციებს და მუშაობის შემაჯამებელ შედეგებს ასახავს დასკვნით ოქმში. ასევე, ზემოთ მითითებული კომისია ამოწმებს პროგრამების განხორციელებას, რაც ხდება წინსწარ ჩამოყალიბებული და შეთანხმებული მონიტორინგის ობიექტების განსაზღვრის კრიტერიუმების გამოყენებით (მაგ., სტუდენტების დასწრება/მოსწრების მაჩვენებელი, ლექტორის მიერ მეცადინეობების გაცდენების ანალიზის შედეგები, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მოსაზრებების შესწავლის შედეგები და სხვ.).

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლების განმარტებით, პროგრამის შედეგების მიღწევის და პროგრამის ათვისების ხარისხის დადგენის მიზნით, პროგრამის ერთი ციკლის (2 წელი) დასრულების შემდეგ განხორციელდება დაგეგმილ მაჩვენებლებთან (სამიზნე ნიშნულებთან) მიღებული შედეგების დადარება, ცდომილების (არსებობის შემთხვევაში) მიზეზების ანალიზი, საჭიროების შემთხვევაში - ცვლილებების დაგეგმვა და განხორციელება, მათ შორის პროგრამაში ცვლილებების და/ან სამიზნე ნიშნულების კორექტირების მიმართულებით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის განმარტებით, მოქმედი პროგრამის ხელმძღვანელისა და განმახორციელებლების მიერ ყოველწლიურად მიმდინარეობს პროგრამის კომპონენტების დონეზე მიღებული შედეგების შესწავლა - სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი, რაც ასევე იქნება გამოყენებული აკრედიტაციაზე წარდგენილი პროგრამის შემთხვევაშიც.

პროგრამის განმახორციელებების განმარტებით, ფაკულტეტზე პროგრამების შეფასება მოიაზრებს შეფასების სხვადასხვა მეთოდებისა და მექანიზმების გამოყენებას, მათ შორისაა კო-

ლეგიალური შეფასება (ლექციებზე ურთიერთდასწრება), დაინტერესებულ მხარეთა დამოკიდებულებების კვლევა, პროგრამის განმახორციელებლების საქმიანობის შეფასება, პროგრამის განხორციელების ხარისხი (მაგ., სასწავლო პროცესის ხარისხი, რესურსების საკმარისობა, აკადემიური და მოწვეული პერსონალის სწავლების ხარისხის შეფასება, სტუდენტთა მიერ პროგრამის და მისი კომპონენტების შეფასება, და სხვ.), პროგრამის ათვისების ხარისხი (მაგ., აკადემიური მოსწრების ანალიზი) და სხვ.).

ინტერვიუს დროს პროგრამის განმახორციელებლებმა აღნიშნეს, რომ მოქმედი პროგრამების შეფასების პროცესი არის სისტემატური, კოორდინირებული და თანამშრომლობითი. ფაკულტეტზე პროგრამების სისტემატიურად შეფასების ფაქტი, ასევე, დაადასტურეს მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა, რომლებმაც აღნიშნეს, რომ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა დააფიქსიროს თავისი მოსაზრებები სასწავლო პროცესის, პროგრამის შინაარსის, სწავლებისა და შეფასების სისტემის, ადამიანური, მატერიალური და საინფორმაციო რესურსის, სტუდენტების მხარდაჭერის სერვისების შესახებ და სხვ.

პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ გარდა შიდა შეფასებისა, პროგრამის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია შრომის ბაზრის მოთხოვნების და დამსაქმებლების მოსაზრებების გათვალისწინება და საუკეთესო პრაქტიკის შესწავლის მიზნით უცხოეთის უსდ-ების ანალოგიურ პროგრამებთან დადარება. პროგრამის ხელმძღვანელის განმარტებით, ეს მექანიზმები იყო გამოყენებული პროგრამის შემუშავების ეტაპზე. მეტი სიცხადისთვის ექსპერტთა ჯგუფმა ითხოვა დამატებით შესაბამისი ინფორმაციის წარდგენა. წარმოდგენილი დოკუმენტიდან ირკვევა, რომ შესწავლილ იქნა უცხოეთის 8 უსდ-ს პროგრამები (ჩალმერსის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი (შვედეთი); ნორთჰემტონის უნივერსიტეტი; ვარშავის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი; მელბურნის ტექნოლოგიური ინსტიტუტი; სამხრეთ კაროლინას უნივერსიტეტი; Purdue Polytechnic Institute, Indiana, Northumbria University London; University of Bradford), გამოიკვეთა ის სასწავლო კურსები, რომლებიც გათვალისწინებულ იქნა აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილ პროგრამაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“ (აკადემიური საბჭოს №01-05-04/108, 17.04.2018 დადგენილების დანართი);
- რექტორის ბრძანება (№01-09-10/273, 17.11.2019) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების კომისიების შექმნის შესახებ;
- „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი“ (აკადემიური საბჭოს №01-05-04/261, 23.09.2019 დადგენილების დანართი);
- კითხვარები და დაინტერესებულ მხარეთა კმაყოფილების კვლევის დოკუმენტები (მომიჯნავე პროგრამისთვის): „კითხვარი ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილების შესახებ“; „სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ინფორმატიკის კომპიუტერული ინჟინერიის მოდულის კურსდამთავრებულის კმაყოფილების შეფასება“; „კითხვარი დამსაქმებლისთვის“, „სტუდენტის კითხვარი“;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- შრომის და დასაქმების ბაზრის კვლევა;
- „კომპიუტერული სისტემები და ქსელური ტექნოლოგიები. უცხოურ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებთან დადარება“ (დამატებით წაროდგენილი დოკუმენტი);
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	<input checked="" type="checkbox"/>			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)
არ ერთვის.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:
სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება, საფეხური:
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული სისტემები და ქსელური ტექნოლოგიები“.

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 37.

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	<input checked="" type="checkbox"/>			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		<input checked="" type="checkbox"/>		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	<input checked="" type="checkbox"/>			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	<input checked="" type="checkbox"/>			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	<input checked="" type="checkbox"/>			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა - მანანა ხაჩიძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა - გულადი ფარტენაძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა - მარიამ ზანგალაძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა - თამარ გვიანიშვილი

სახელი, გვარი, ხელმოწერა - შალვა მესხი